თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის

ვლადიმერ ბოჟაძის

ანგარიში

2023 წლის ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2022 წლის 2 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში გახლავართ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ს წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა კომისიისა და გარემოს დაცვის კომისიის წევრი.

➢ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 15 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 615 განკარგულება და 105 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge

- ## ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -

ფრაქციის წევრი

დედაქალაქის მე-7 მოწვევის საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისაგან შედგება. უმრავლესობის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განვიხილავთ და შესაბამის რეკომენდაციებს გავცემთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე. მერიის საქალაქო სამსახურების უფროსებისგან ვისმენთ ანგარიშებს გაწეული სამუშაოების შესახებ.

საანგრიშო პერიოდში ჩატარდა 18 სხდომა და განვიხილეთ 26 საკითხი, მათ შორის, ისეთი მნიშვნელობის საკითხები, როგორიცაა დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, ასევე, სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული, ურბანული თუ გარემოს დაცვითი პოლიტიკის საკითხები.

ფრაქციის სხდომების ფორმატში, საშუალება გვაქვს, მოვიწვიოთ დედაქალაქის მთავრობის წევრები, მოვისმინოთ მათ საქმიანობის ანგარიშები, ვიმსჯელოთ სამომავლო გეგმებსა და მიზნებზე.

ფრაქციის სხდომებზე განხილულ საკითხთა შორის იყო:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი.
- აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია.
- ისტორიული ძეგლების სტატუსის მქონე ავარიული სახლების რეაბილიტაციის პროგრამა.
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი.

- **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - კომისიის წევრი**

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 14 სხდომა, განვიხილეთ 26. დავესწარი 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 25 საკითხის განხილვაში. მათ შორის იყო შემდეგი მნიშნველოვანი საკითხები:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,სპორტი უფროსი თაობისთვის“ ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ.“
- ,,ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების დაფინანსების პროგრამის“ მხარდაჭერით ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“-ის მიერ განხორციელებული პროექტის ,,საქართველოს კარიტასის ხელოვნების სტუდიის სოციალური საწარმო „ქ-ართ-ულის“ შესახებ ინფორმაციის მოსმენა და სამუშაო პროცესის გაცნობა.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

აქტივობები სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში :

- სამგორის რაიონში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩაზე მოწყობილ სკეიტ პარკში პროფესიონალმა და მოყვარულმა სკეიტბორდისტებმა პირველი საჩვენებელი ღონისძიება გამართეს, რომელსაც სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრენთან ერთად დავესწარი.

- თბილისის საკრებულოსა და ,,სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმების შემდეგ დიდი ქართველი სპორტსმენების დაფასების და წარმოჩინების შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზარდა.

- **გარემოს დაცვის კომისია**
  კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 17 სხდომა, განხილულ იქნა 92 საკითხი.

აქედან, დავესწარი 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 90 საკითხის განხილვაში.

კომისიის სხდომის ფორმატში, გამვართეთ არაერთი შეხვედრა მუნიციპალური სამსახურების წარმოამადგენლებთან, გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს, მხარდაჭერილ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 54 პროექტი)

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (სულ: 2 პროექტი)

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- **აქტივობები**
  გენდერული თანასწორობის საბჭო -
  საბჭოს წევრი

გენდერული თანასწორობის საბჭოს მიზანია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა. 2022 წლის იანვრიდან, გახლავართ აღნიშნული საბჭოს წევრი და აქტიურად ვარ ჩართული მის საქმიანობაში. საბჭოს მისიაა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური გაძლიერება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმების დამკვიდრება.

- **თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.**

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 96 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 7000-მდე საკითხი. დავესწარი ყველა სხდომას და მონაწილეობა მივიღე უკლებლივ ყველა საკითხის განხილვაში.

სხდომაზე საკითხების განხილვაში დაინტერესებული მოქალაქეები აქტიურად იყვნენ ჩართულები.

ანგარიში 2023